საქართველოს მთავრობის

დადგენილება №513

2014 წლის 26 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებაში (სსმ, №54, 25/05/2004) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების 4^1 მუხლის:

1. პირველი პუნქტის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება;

ბ) უფლებამოსილების ფარგლებში, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობის მართვა;

გ) საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს მიერ განხორციელებულ, მიმდინარე თუ დაგეგმილი სიახლეების, პროგრამების, პროექტების შესახებ;

დ) სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებასთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, საერთაშორისო, არასამთავრობო, დონორ და დიპლომატიურ ორგანიზაციებთან, კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია;

ე) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, გადარჩევა, ანალიზი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გასავრცელებლად მომზადება;

ვ) წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით სამინისტროს საქმიანობისა და მიღწევების შესახებ საინფორმაციო ბიულეტენების/ანგარიშების შექმნა და დაბეჭდვა;

ზ) სამინისტროს შესახებ პერიოდული გამოცემების, ინტერნეტგამოცემებისა და სატელევიზიო სიუჟეტების მონიტორინგის საფუძველზე, ყოველდღიური დაიჯესტის მომზადება;

თ) პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების მოწყობა;

ი) საკომუნიკაციო კამპანიებისა და პროექტების დაგეგმვა, მართვა და მონიტორინგი;

კ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა და მედიაგეგმაზე მუშაობა;

ლ) სამინისტროს საკომუნიკაციო არხების - ვებგვერდისა და სოციალური მედიის მართვა;

მ) ბეჭდური მასალისა და ფოტომასალის დამზადება და გავრცელება;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში, მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილეებისთვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურების გაწევა;

ო) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის ინტეგრირება დეპარტამენტის სამოქმედო გეგმაში;

პ) სამინისტროს საშვთა ბიუროსა და სატელეფონო ცხელი ხაზის მუშაობის უზრუნველყოფა;

ჟ) სამინისტროს ლოგოს გამოყენებაზე თანხმობის გაცემა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ქვედანაყოფების წინადადებების გათვალისწინებით.“.

3. მე-7 პუნქტის:

ა) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{1}“ ქვეპუნქტი:

„თ^{1}) სასკოლო სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების პროცესის ადმინისტრირება; გრიფირებული სახელმძღვანელოების/სერიების საბიბლიოთეკო ფონდის წარმოება; გრიფირებული სახელმძღვანელოების/სერიების შესახებ მონაცემთა რეესტრის წარმოება;“;

ბ) „ნ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ნ^{1}) სასწავლო რესურსების შეფასების პროცესის ადმინისტრირება;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**